ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულების") 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების 12.3.11 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

12.3.11 კლიენტის მიერ ბარათით ATM, POS, E-Commerce_ით და ბანკში ტერმინალით ოპერაციის შესრულებისთანავე ბანკი ახორციელებს თანხის ბლოკირებას შესრულებული ტრანზაქციის თანხის შესაბამისად. ბლოკირებისას კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ბანკის მიერ საბარათე სისტემისთვის დადგენილი კომერციული კურსი. GEL/USD/EUR_სგან განსხვავებულ ვალუტაში ქსელის გარეთ შესრულებული ოპერაციებისათვის დამატებით გამოიყენება ,,ვიზას'' (VISA) ან ,,მასთერქარდის'' (MasterCard) მიერ დაწესებული კურსი და წესი. დეტალური აღწერა და მაგალითები იხ. შემდეგ ვებგვერდზეhttp://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-conversions. VISA/MasterCard ბარათით განხორციელებული ტრანზაქციები გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება კლიენტის ანგარიშზე.კლიენტის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბანკის სხვადასხვა დისტანციური არხების მეშვეობით.